სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

2021 წლის ანგარიში

საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

სარჩევი

1. შესავალი 2

2. მნიშნელოვანი აქტივობები 3

3. ტრენინგების მიმართულება

- იურიდიული ტრენინგების სამსახური 7
- სოციალური ტრენინგების სამსახური 15
- ფინანსური ტრენინგების სამსახური 29

4. ტესტირების მიმართულება

- ტესტის შექმნის სამსახური 35
- ტესტირების კოორდინაციის სამსახური 40

5. პროექტების მართვის სამსახური 47

6. ტერიტორიული ორგანო ყვარლის სასწავლო ცენტრი ... 63

შესავალი

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომელიც საქმიანობას ახორციელებს იუსტიციის მინისტრის, 2015 წლის 28 იანვრის N56 ბრძანების საფუძველზე.

იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიზანია საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის და ქართული სამართლის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან და ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა სასწავლო პროგრამების განხორციელებით, ასევე, სამინისტროს, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სხვა დაინტერესებული პირების ორგანიზაციული განვითარების, მართვისა და მომსახურების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა.

2021 წელს, იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელებულ ღონისძიებაში, ტრენინგებისა და პროექტების მიმართულებით, ჩართული იყო 7085 მონაწილე, ხოლო, ტესტირება გაიარა 5 855 აპლიკანტმა. ტესტის შექმნის სამსახურმა 841 ტესტური დავალება შეიმუშავა. იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიული ორგანო ყვარლის სასწავლო ცენტრს (სარეაბილიტაციო სამუშაოების გათვალისწინებით) ჰყავდა 263 სტუმარი. ჯამში, იუსტიციის სასწავლო ცენტრის აქტივობებში, 2021 წლის ფარგლებში, ჩართული იყო 13 203 დაინტერესებული პირი.

ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- ტრენინგი
- ტესტირება/ტესტის შექმნა

დღეისათვის სასწავლო ცენტრი მომხმარებლებს სამართლებრივი, სოციალური, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით 100-ზე მეტ ტრენინგ მოდულს სთავაზობს. საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრს თბილისსა და ყვარელში გამართული და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურა და სერვისები აქვს.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი ორიენტირებულია ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ იუსტიციის სასწავლო ცენტრი ფლობს ISO სერტიფიკატის მიღება. ISO-9001 წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე ფართოდ აღიარებულ ხარისხის მენეჯმენტის სისტემას. სერტიფიკატის ფლობა გულისხმობს, რომ მენეჯმენტის კუთხით, ორგანიზაციის საქმიანობა საერთაშორისო ნორმებს შეესაბამება.

2021 წლის 18 ნოემბერს, ხორვატიის სასერთიფიკაციო ორგანიზაციის შპს „Adviser Expert Solutions" -ის მიერ სერტიფიცირებული წამყვანი აუდიტორის მიერ დაიგეგმა პირველი საზედამხედველო აუდიტი. ISO 9001:2015-ის სერტიფიკატის გავრცელების სფერო: ტრენინგები (სწავლება), ტესტირება/ტესტის შექმნა (შეფასება) და კონსულტირება შეფასდა დეტალურად არსებული მტკიცებულებების განხილვითა და უფლებამოსილ პირებთან შეხვედრის ფორმატში.

2021 წლის საზედამხედველო აუდიტის დასკვნის შესაბამისად, იუსტიციის სასწავლო ცენტრის სწავლების/ტესტირების სტანდარტები, შიდა პროცედურები და ხარისხის მართვის სისტემა შეფასდა დადებითად, ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში. შეუსაბამობები და/ან რეკომენდაციები არ ფიქსირდება.

ISO 9001-2015 სერტიფიკატი

UNITED REGISTRAR OF SYSTEMS

URS

Certificate of Registration

This certificate has been awarded to

Training Center of Justice of Georgia, LEPL

1 Ana Politkovskaia St, 0186 Tbilisi, Georgia

In recognition of the organization's Quality Management System which complies with

ISO 9001:2015

The scope of activities covered by this certificate is defined below

Training, Testing and Consulting Services

Certificate Number:	Date of Issue: (Original)	Date of Issue:
205779/A/0001/UK/En	03 December 2020	03 December 2020
Issue No:	**Expiry Date:**	
1	02 December 2023	

Issued by: *On behalf of the Schemes Manager*

URS ISO 9001 · UKAS MANAGEMENT SYSTEMS · MEMBER OF MULTILATERAL RECOGNITION ARRANGEMENT IAF

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სერტიფიცირების პროგრამა

“გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაციის განხორციელების, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ერთიანი რეესტრის წარმოებისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შერჩევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” (შემდგომში – შერჩევის წესი) საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 30 მარტის N696 ბრძანების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა უზრუნველყო დადგენილ ვადაში, 2021 წლის 01 აპრილიდან ამავე წლის 01 ივლისის ჩათვლით შემდეგი ეტაპების ადმინისტრირება:

ა) მონაწილეთა რეგისტრაცია და დაინტერესებულ პირთა კონსულტირება;
ბ) სერტიფიცირების ეტაპების ორგანიზება;
გ) დონორთან კომუნიკაცია;
დ) სასწავლო პროგრამის ორგანიზება;
ე) საკვალიფიკაციო გამოცდისთვის ტესტური დავალებების შემუშავება არსებული სტანდარტით;
ვ) საპრეტენზიო განცხადებების განხილვა.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სერტიფიცირების პროგრამა:
გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სასწავლო კურსი;
გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სასწავლო პროგრამის პირველი ნაკადის სერტიფიცირება 2021 წელს დასრულდა. წარმატებულ მონაწილეებს სერტიფიკატები იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა, ხათუნა კასრაძემ გადასცა.

კურსი 29 მაისიდან 18 ივნისის ჩათვლით ორი ჯგუფისთვის დისტანციურ ფორმატში ჩატარდა და მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: გადახდისუუნარობის კანონმდებლობისა და პრაქტიკის, სამეწარმეო, საგადასახადო, სახელშეკრულებო და შრომითი სამართლის, საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობის საფუძვლები, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ზოგადი უნარ-ჩვევები, პრობლემის გადაჭრის საკანონმდებლო მექანიზმები და პროფესიულ ეთიკა.

სასწავლო კურსი წარმოადგენს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა საკვალიფიკაციო გამოცდისა და შემდგომ, ავტორიზაციის წარმატებით გავლის წინაპირობას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რეესტრის დაკომპლექტებას წარმატებული კანდიდატებით.

პროექტი „USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის“ პარტნიორობითა და ფინანსური მხარდამჭერით განხორციელდა.

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა დაიწყო პროექტ „რეფორმეტრის“ ფარგლებში გადახდისუუნარობის რეფორმის დანერგვის პროცესის პროგრესისა და ხარისხის ანალიზი.

კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ 2021 წლის აპრილში ამოქმედდა. ახალი კანონით სფეროში ახალი პროფესია, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი შემოვიდა, რომელიც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველის, რეაბილიტაციის ზედამხედველისა და რეგულირებული შეთავაზების ზედამხედველის ფუნქციებს შეასრულებს.

2021 წლის 22 დეკემბერს, რეფორმეტრის ორგანიზებით გაიმართა პირველი საჯარო-კერძო დიალოგი. შეხვედრაზე იუსტიციის სამინისტროს, ბიზნესის რეაბილიტაციის და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაციისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენლებმა გადახდისუუნარობის რეფორმა და მისი დანერგვის პროცესი განიხილეს. ცენტრის დირექტორმა ხათუნა კასრაძემ შეხვედრის ფარგლებში წარადგინა პრეზენტაცია სასწავლო პროცესისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ.

იურიდიული ტრენინგების სამსახური

1382 მონაწილე

ზოგადი ინფორმაცია

იურიდიული ტრენინგების სამსახური სამართლებრივ თემებზე ტრენინგების და სხვა სასწავლო ღონისძიებების ორგანიზებით უზრუნველყოფს იუსტიციის სამინისტროს სისტემის, ასევე, სხვა ნებისმიერი დაინტერესებული საჯარო, თუ კერძო ორგანიზაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. სპეციალური სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და ტრენინგების ჩატარების გზით სამსახური მონაწილეობს მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების იმპლემენტაციაში, ასევე, ხელს უწყობს საზოგადოებაში მართლშეგნების ამაღლებას.

სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დარგის წამყვან ექსპერტებთან თანამშრომლობას და მუდმივად აახლებს ტრენერთა ბაზას. სამსახური ორიენტირებულია სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და სწავლების პროცესის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაზე.

2021 წელს იურიდიული ტრენინგების სამსახურის მიერ 30-მდე თემაზე განხორციელდა 117 სასწავლო ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდა 1382 მონაწილე .
განხორციელებული სასწავლო ღონისძიებები (ტრენინგი, სემინარი, კონფერენცია, სამუშაო შეხვედრა, მრგვალი მაგიდა და სხვ.) მონაწილეთა 80%-ზე მეტმა შეაფასა დადებითად.

სატრენინგო თემები და ტრენინგ-მოდულები

ცენტრის ბაზაზე არსებული 70-მდე ტრენინგ-მოდულის გარდა, სამსახური დამკვეთ პირებს სთავაზობს ნებისმიერ სამართლებრივ თემაზე მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული სპეციალური პროგრამის შემუშავებას. საანგარიშო წლის მანძილზე იურიდიული ტრენინგების სამსახურის მოწვეული ტრენერების მიერ უფასო იურიდიული ტრენინგების ფარგლებში შემუშავებულ იქნა 10 ტრენინგ მოდული (3,5 საათიანი ტრენინგისთვის) ასევე,2021წლის ნოემბერი - დეკემბრის საანგარიშო პერიოდში სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ სსიპ საჯარო რეესტრი ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით შეიქმნა 105 საათიანი მოდული სისტემური რეგისტრაციის ოპერატორთა მოსამზადებელი კურსისათვის და მიმდინარეობს მუშაობა სისტემური და შემდგომი რეგისტრატორების სასწავლო კურსის ასევე მიწის ამზომველთა სასწავლო კურსის მოდულების შექმნაზე. ამავე წელს "რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საკანონმდებლო ცვლილების ფარგლებში შეიქმნა 85 საათიანი გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სასწავლო კურსის ტრენინგ მოდული.

დამკვეთი პირები

იურიდიული ტრენინგების სამსახური სატრენინგო მომსახურების გაწევით თანამშრომლობს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

1. იუსტიციის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება

სამსახურის უპირველესი დანიშნულებაა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საქვეუწყებო დაწესებულების მომსახურება, ასევე ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა.

1.1. ტრენინგები იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებისთვის

იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებისთვის საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტრენინგები თემაზე „სამართლებრივი წერა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვა და საჯაროობის სამართლებრივი მოწესრიგება“. ტრენინგები სამ ჯგუფში გაიარა იუსტიციის სამინისტროს 28 თანამშრომელმა. აქვე აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებისთვის უწყვეტად მიმდინარეობდა ფრანგული და ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.

1.2. ტრენინგები იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ებისთვის

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის (სსიპ) ჩატარდა 11 სასწავლო აქტივობა, რომელსაც დაესწრო ჯამში 218 მონაწილე. იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „მედიაცია“. იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგები თემაზე „ბავშვის უფლებათა კოდექსი“; „პერსონალურ მონაცემთა დაცვა“ და „საქმისწარმოება და დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა“. იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომლებს, ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე „ბავშვთა უფლებები“, ამავე თემაზე გაეროს ბავშვთა ფონდის (UNCEF) დაფინანსებითაც ჩატარდა ტრენინგები დამატებით 3 ჯგუფისთვის.
ასევე იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირს სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის 2021 წლის ნოემბრიდან დაიწყო ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.
,,საქართველო იუსტიციის სამინისტროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები ს დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის ამოცანა 2.2. შესრულების მიზნით სსიპ საჯარო რეესტრის სააგენტოსთან თანამშრომლობით:

1. შემუშავდა ტრენინგის მოდული თემაზე ,,სპეციალური მოსარჩელე“;
2. სსიპ იუსტიციის სახლის თანამშრომლებისთვის ელექტრონული პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე ,,სპეციალური მოსარჩელე.

ტრენინგი გაიარა 10 მონაწილემ."

საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)	სატრენინგო ჯგუფების რაოდენობა	ტრენინგზე მონაწილეთა რაოდენობა
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	5	95
სერვისების განვითარების სააგენტო	4	84
აღსრულების ეროვნული ბიურო	2	29

1.3. სხვა ნებისმიერი დაინტერესებული საჯარო, თუ კერძო ორგანიზაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

2021 წლის იანვრის თვეში იურიდიული ტრენინგების სამსახურის კოორდინაციით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: სამართლებრივი წერა, 1 ჯგუფში ტრენინგს დაესწრო გარემოს დაცვის სამინისტროს სხვადასხვა სსიპების თანამშრომლები 23 მონაწილე, ტრენინგები მიმდინარეობდა online პლატფორმა zoom გამოყენებით.
2021 წლის თებერვალსა და ოქტომბერში იურიდიული ტრენინგების სამსახურის კოორდინაციით განხორციელდა ტრენინგები თემაზე: შრომის სამართალი. ტრენინგს 2 ჯგუფში დაესწრო ენერგო პრო ჯორჯიას და შსს პოლიციის აკადემიის თანამშრომლები – 35 მონაწილე.
2021 წლის ნოემბერი – დეკემბრის იურიდიული ტრენინგების სამსახურის კოორდინაციით განხორციელდა აიპი მუნიციპალური განვითარების სააგენტოს, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის ტრენინგები თემაზე: პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ტრენინგს 6 ჯგუფში დაესწრო 82 მონაწილე. ტრენინგი ჩატარდა zoom online პლატფორმის გამოყენებით.

2. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სასწავლო კურსის ჩატარება.

2021 წლის მაისი-ივნისის თვეში იურიდიული ტრენინგების სამსახურის კოორდინაციით განხორციელდა "რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საკანონმდებლო ცვლილების ფარგლებში „გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაციის განხორციელების, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ერთიანი რეესტრის წარმოებისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შერჩევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 30 მარტის N696 ბრძანებით მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად, ნაკისრი ვალდებულება, განხორციელდა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სასწავლო კურსი, რომელიც 2 ჯგუფში ჯამში გაიარა 40 მონაწილემ. 85 საათიანი ტრენინგი 17 დღის მანძილზე ჩატარდა zoom online პლატფორმის გამოყენებით.



1.4. საჯარო რეესტრის ავტორიზებულ პირთა სასერტიფიკატო პროგრამები

2014 წლიდან სამსახური ორგანიზებას უწევს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული პირების სასერტიფიკატო გამოცდისთვის მოსამზადებელ სწავლებას და სასერტიფიკატო გამოცდას. 2021 წელს ჩატარდა მოსამზადებელი ტრენინგი და სასერტიფიკატო გამოცდა შემდეგ პროგრამებში:

- NAPRWEB 3.5 – განცხადებებისა და უფლებების რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა;
- NAPRREG – უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა;
- MMR- მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა (გირავნობა/ლიზინგის უფლებათა რეესტრი)
- ENWEB- მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის მიზნით განცხადებისა და შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ელექტრონული პროგრამა.

ოთხივე პროგრამის ტრენინგი ჩატარდა ჯამში 69 ჯგუფისთვის, რომელიც გაიარა სხვადასხვა დაწესებულების 567-მა წარმომადგენელმა, ხოლო, სასერტიფიკატო გამოცდა წარმატებით ჩააბარა 597-მა აპლიკანტმა.

პროგრამის სახელწოდება	სატრენინგო ჯგუფების რაოდენობა	ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა	გამოცდაზე წარმატებულ აპლიკანტთა რაოდენობა
NAPRWEB3.5	40	373	393
NAPRREG	6	11	16
MMR	6	45	45
ENWEB	17	138	143

4.მართლშეგნების ამაღლების ხელშეწყობა

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე 2015/16 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ახორციელებს არჩევით საუნივერსიტეტო საგანს „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკა“.

„იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკის“ ფარგლებში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გაიუმჯობესონ ტრენერის უნარ-ჩვევები და მიიღონ სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან ტრენინგების ჩატარების პრაქტიკული გამოცდილება.

კლინიკის განხორციელებით სამსახური ახალგაზრდა, მოტივირებული, ენერგიული სტუდენტებისთვის-მომავალი პროფესიონალებისთვის ქმნის პროფესიული განვითარების ერთგვარ პლატფორმას და იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტრენერთა ბაზისთვის მუდმივად განახლებად რესურსს.

„საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკა“ 2015/16 წლის შემოდგომის სემესტრიდან ხორციელდება და ტრენერების ბაზას ყოველ სემესტრში სტუდენტების ახალი ნაკადი ემატება. 2021 წლის ბოლოსთვის ტრენერების ბაზაში ირიცხება 78 კლინიკის ტრენერი.

კლინიკის მონაწილე ტრენერები აქტიურად არიან ჩართული ცენტრის პროექტებსა და ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისა და საზოგადოებაში მართლშეგნების ამაღლებისკენ.

2021 წლის განმავლობაში იურიდიული ტრენინგების სამსახურის მიერ იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკის ტრენერების რესურსით ცენტრის სტანდარტის დაცვით შეიქმნა ტრენინგ-მოდული 10 თემაზე და ჩატარდა ტრენინგი 22 ჯგუფისთვის, რომელსაც უფასოდ დაესწრო 293 დაინტერესებული პირი.

	ტრენინგის დასახელება	ჯგუფების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა
1	რა არის ევროკავშირი?	2	10
2	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	4	46
3	შრომის სამართალი და განახლებული შრომის კოდექსი	3	44
4	ბავშვთა უფლებები და თავისუფლებები	5	53
5	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივი მექანიზმები	3	30
6	საპოლიციო სამართალი	1	18
7	გამოხატვის თავისუფლება	1	23
8	ფოტოგრაფია და საავტორო სამართალი	1	21
9	სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების ფარგლები	1	27
10	დასაქმებულის უფლებები შრომით ურთიერთობებში	1	21

იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკის ტრენერების მონაწილეობით განხორციელდა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი სამთავრობო კამპანიის ფარგლებში უფასო ტრენინგი
2021 წელს 16 დღიანი კამპანიის მთავარ თემად განსაზღვრული იყო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივი საშუალებები, რაც განაპირობა მსოფლიო პანდემიის პირობებში გამოკვეთილმა საჭიროებებმა.

სპეციალური მოდულის გამოყენებით ტრენინგი კლინიკის XIII ნაკადის ტრენერის ჩართულობით ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ჩატარდა ტრენინგი ნებისმიერი დაინტერესებული პირებისთვის.

5. უცხო ენის შემსწავლელი კურსები

იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას ემსახურება უცხო ენების (ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული) შემსწავლელი კურსები, რომელთა ადმინისტრირება 2011 წლიდან ხორციელდება.

2021 წელს უცხო ენაში გადამზადდა სამინისტროს ცენტრალური აპარატის , სხვადასხვა სსიპ-ების და გარე დამკვეთი ორგანიზაციების თანამშრომელები. წლის მანძილზე (ინგლისური, ფრანგული) ენის კურსის სხვადასხვა დონე ინდივიდუალურად, თუ ჯგუფურად გაიარა ჯამში 95 მონაწილემ.
სწავლება მიმდინარეობდა Online ფორმატით.

უცხო ენა	ჯგუფის რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა
ინგლისური ენა	13	64
ფრანგული ენა	7	31

სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახური

1702 მონაწილე

სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახურის მიზნები და ამოცანები

სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახურის მიზანია მომხმარებლის საჭიროებაზე მაქსიმალურად მორგებული ტრენინგ–პროგრამებით, მაღალკვალიფიციური ტრენერების ჩართულობით, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებითა და სასწავლო პროცესების მაღალი ხარისხით ადმინისტრირებით სხვადასხვა ორგანიზაციების თანამშრომელთა პიროვნული განვითარების, სოციალური უნარების გაუმჯობესების უზრუნველყოფა, ასევე ორგანიზაციებში მართვის პროცესების გაუმჯობესების ხელშეწყობა.
სოციალური ტრენინგების სამსახურის ძირითადი საქმიანობაა ტრენინგისა და განვითარების პროგრამების მართვა (დაგეგმვა, განხორციელება, კოორდინაცია, კონტროლი, შეფასება), შემდეგი მიმართულებებით:

• პიროვნული განვითარების კურსები – პიროვნული პოტენციალის რეალიზება, პირადი რესურსების მართვა, პიროვნული სამუშაო კომპეტენციების განვითარება;

• ორგანიზაციული განვითარების კურსები – ორგანიზაციული მართვის პროცესების გაუმჯობესება;

•სპეციფიკური კურსები.

სოციალური მიმართულების ტრენინგისა და განვითარების პროგრამები ხელს უწყობს თანამშრომელთა ცოდნის, უნარების, მოტივაციისა და შრომითი კმაყოფილების გაზრდას, ემოციურ ,,ვენტილაციას“ (განტვირთვას), გუნდური შეჭიდულობის გაზრდას, ეხმარება თანამშრომლებს უკეთ შეასრულონ სამუშაო და მაქსიმალურად მოახდინონ საკუთარი რესურსების/პოტენციალის რეალიზაცია, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის პროდუქტიულობისა და ეფექტურობის ზრდას.

სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახურის მიზნები და ამოცანები

სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახური ასევე ჩართულია სტრატეგიულად მნიშვნელოვან სხვა აქტივობებში და პასუხისმგებელია შემდეგი მიმართულებით:

• პენიტენციური სისტემის რეფორმის ფარგლებში, პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების 2021-2022 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული ყველა სასწავლო აქტივობის კოორდინაცია და იმპლემენტაციის პროცესში ჩართვა. 2021–2022 წლების სტრატეგიის დამუშავება და შემდეგ, სასწავლო აქტივობების მართვა;

• საქართველოს მთავრობისა და ევროკავშირის ხელშეწყობით, განხორციელებული პროგრამის „EU4Justice“ (მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში) ფარგლებში, მიმდინარე „პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტით“ გათვალისწინებული სასწავლო აქტივობების სრული კოორდინაცია. ახალი სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში ჩართვა;

• საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მინისტრის 2019 წლის 6 მარტის, N46/ნ ბრძანების – ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებთან შესაბამისი პროგრამების მომზადება და მართვა/ კოორდინაცია.

•საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში, 2021–2024 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულება სახელმწიფო სერვისების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გაუმჯობესების მიზნით.

•“არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N668 დადგენილებაში 10 აპრილს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული პირების გადამზადებას.

1. 2021 წელს განხორციელებული ტრენინგები

სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა 113 განსხვავებული სასწავლო აქტივობა, რომელშიც ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 1702 მონაწილე.

იუსტიციის სამინისტროს აპარატისა და იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები – 494 წარმომადგენელი
სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 412 წარმომადგენელი
სხვა სამსახურის/ორგანიზაციის 406 წარმომადგენელი.

N	დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
1	**ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება:** სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახური (40 მონაწილე); გარე გაყიდვები (1 მონაწილე); სსიპ იუსტიციის სახლი ძდა საზოგადოებრივი ცენტრები (130 მონაწილე); საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (113 მონაწილე) დევნილთა სააგენტო (24 მონაწილე) იუსტიციის სახლის დაზოგადოებრივი ცენტრები (143 მონაწილე) აღსრულების ეროვნული ბიური (10 მონაწილე)	461
2	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაცია და მათი მომსახურება** - საკანონმდებლო მაცნე (2 მონაწილე) - მსჯავრდებულთა მომზადებისა და გადამზადების ცენტრი VETCI (2 მონაწილე)	4
3	**სტრესის მართვა მომსახურების სფეროში** - აღსრულების ეროვნული ბიური	15
4	**ტრენერთა ტრენინგი: სპეციალიზაციის კურსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში** - შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია (14 მონაწილე) - იუსტიციის სამინისტრო (1 მონაწილე) - იურიდიულუ კლინიკა (5 მონაწილე)	20
5	**კომუნიკაცია და გუნდური მუშაობა** - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	96
6	**მედია-სპიკერის უნარები** - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახური	5
7	**ტრენერთა ტრენინგი** - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახური (20 მონაწილე) - იურიდიული კლინიკა (8 მონაწილე) - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი (2 მონაწილე) - ფიზიკური პირი (1 მონაწილე) - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების, დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (1 მონაწილე) - იუსტიციის სასწავლო ცენტრი (1 მონაწილე) - კომპანია „აპოლაქს მენეჯმენტი“ (1 მონაწილე)	34

1. 2021 წელს განხორციელებული ტრენინგები

N	დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
8	**შეფასების სისტემა** - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	9
9	**განმავითარებელი უკუკავშირი და კომუნიკაცია** - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	26
10	**ლიდერობა და მართვა** - იუსტიციის სახლი (26 მონაწილე) - იუსტიციის სამინისტრო (34 მონაწილე)	60
11	**პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები- სტრატეგიული დოკუმენტაციის წარმოება და მართვა** - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	16
12	**გუნდური მუშაობა** - იუსტიციის სახლი	64
13	**მედიატორების სუპერვიზია** - დანაშაულის პრევენციის,არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	15
14	**მენეჯმენტის საფუძვლები (მოდული 1) - ლიდერობა და გავლენა** - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	16
15	**მენეჯემენტის საფუძვლები (მოდული 2) - მართვის ფუნქციები და ინსტრუმენტები** - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	18
16	**მენეჯემენტის საფუძვლები (მოდული 3) - კონფლიქტის მართვა, მოლაპარაკება, დამარწმუნებელი კომუნიკაცია** - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	17
17	**ამოცანებზე ორიენტირებული თანამშრომლობა** - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	45
18	**ყოველდღიური სამუშაო პროცედურების, რისკისა და საჭიროებების შეფასების და რეაბილიტაცია -რესოციალიზაციის პროგრამების გაცნობა.** - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	40
19	**არასრულწლოვან ბენეფიციარებთან მუშაობის, კრიზისული ინტერვენციის საჭიროების იდენტიფიცირება და სწორი გადამისამართება** - დანაშაულის პრევენციის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი	12
20	**კრიტიკული აზროვნების განვითარების ტრენინგი** - პანკისის კერძო და საჯარო სკოლის მასწავლებლები	5
	სულ:	964

2. 2021 წელს, დისტანციურ (online) რეჟიმში განხორციელებული ტრენინგები პიროვნული და ორგანიზაციული განვითარების შემდეგ თემებზე:

N	დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
1	**საჯარო მოხელეთა გადასამზადებელი საბაზისო აკრედიტებული კურსი „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“** - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (10 მონაწილე) - სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო (1 მონაწილე) - იუსტიციის სამინისტრო (1 მონაწილე) - საქართველოს პროკურატურა (7 მონაწილე) - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (10 მონაწილე)	29
2	**დროის მართვა** იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებისთვის	6
3	**პროექტის მართვა** იუსტიციის სამინისროს თანამშრომლებისთვის	12
4	**მოლაპარაკების უნარები** იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებისთვის	12
5	**პროექტის წერა** სხვადასხვა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის	15
6	**დინამიური უსაფრთხოების ტრენერთა ტრენინგი** სპეციალური პენიტენციური სამსახურის, პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელი პიირებისათვის	18
7	**კრიზისის მენეჯმენტის ტრენერთა ტრენინგი** სპეციალური პენიტენციური სამსახურის, პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელი პიირებისათვის	19
8	**სახელმწიფო სერვისების დიზაინი** სერვისის მიმწოდებელები სხვადასხვა საჯარო უწყების თანამშრომლებისთვის (16 მონაწილე)	16
9	**სახელმწიფო სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა** სერვისის მიმწოდებელი სხვადასხვა უწყების თანამშრომლებისთვის (17 მონაწილე)	17
10	**სახელმწიფო სერვისების მიწოდება** სერვისის მიმწოდებელი სხვადასხვა უწყების თანამშრომლებისთვის (17 მონაწილე)	17
	სულ	161



3. 2021 წელს ჰიბრიდულ რეჟიმში განხორციელებული ტრენინგები პიროვნული და ორგანიზაციული განვითარების შემდეგ თემებზე:

N	დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
1	**სპეციალიზაციის კურსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში** დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისთვის	18
2	**ახლადაყვანილ თანამშრომელთა მომზადების კურსი** სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახური, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის	16
3	მოტივაციური ინტერვიუირების ტექნიკები სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის	15
4	**სრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ მეუღლის/პარტნიორის მიმართ მოსალოდნელი ძალადობის რისკის შეფასება – SPAPRA** სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის	15
5	**კოგნიტური და სოციალური უნარების სატრენინგო მოდული** სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის	14
	ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებები და მოვალეობები სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლები	15
	სულ	93

4. პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების მოსამსახურეთა მომზადება/გადამზადება

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 დეკემბრის ნრ. 635 და 2014 წლის 13 მარტის ნრ. 227 დადგენილებების საფუძველზე სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ განისაზღვრა პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის უფლებამონაცვლედ პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების/გადამზადების ნაწილში[1]. მიმართულება პასუხიმგებელია პენიტენციური სისტემის რეფორმის ფარგლებში, პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების 2021-2022 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო აქტივობების კოორდინაციაზე.

3. 1. სპეციალური პენიტენციური სამსახურისთვის განხორციელებული ტრენინგები:

N	დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
1	**სოციალური უნარები და ეთიკის სტანდარტები** - N5 და N10 პენიტენციური დაწესებულებების უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის მოსამსახურეთათვის	135
2	**OIS სპეციალიზებული ტრენინგი** - N14 პენიტენციური დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის სამმართველოს მოსამსახურეთათვის	5
2	**სტრესის მართვა და გუნდური მუშაობა** - ადმინისტრაციული დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის	10
3	**ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება** - პენიტენციური დაწესებულებების საზოგადოებრივი მიმღების თანამშრომლებისათვის	36
სპეციალური პენიტენციური სამსახურის რესოციალიზაცია რეაბილიტაციის დეპარტამენტის ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკებისთვის, ფასილიტატორებისა და თერაპევტების მოსამზადებელი კურსის (TOF/TOTH) ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები:		
4	**ახლადმიღებულ თანამშრომელთა მომზადების კურსი**	16
5	**არტ-თერაპია, ერგოთერაპია**	15
6	**სასარგებლო უნარების განვითარება, პატიმრობის ზიანის შემცირება**	11
7	**პენიტენციური სტრესის მართვა**	14
8	**ბრაზის მართვა**	15
9	**ტრენერთა ტრენინგი**	13
10	**ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი PRIA**	12
11	**მოტივაციური ინტერვიუირების ტექნიკები**	12
12	**ნაბიჯი ცვლილებებისკენ (დანაშაულის გაცნობიერება)**	11
13	**კოგნიტური და სოციალური უნარები**	15
14	**ბრალდებულის მსჯავრდებულის უფლებები და მოვალეობები**	18
15	**ბიბლიოთერაპია**	8
	სულ:	346

[1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4742972?publication=0

4.1. პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების მოსამსახურეთა მომზადება/ გადამზადება EU4Justice პროგრამის ფარგლებში

საქართველოს მთავრობის და ევროკავშირის ხელშეწყობით, განხორციელებული პროგრამის „EU4Justice“ (მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში) ფარგლებში, მიმდინარე „პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტით“ გათვალისწინებული სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო აქტივობების სრული კოორდინაცია:

N	დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
1	**სამუშაო შეხვედრა „პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის“ შემუშავების თემაზე** - „პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სამოქმედო გეგმაში“ ჩართული უწყებების ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირები: იუსტიციის სამინისტრო, სპს და პრობაცია, სსიპ მსჯავრდებულთა მომზადებისა და გადამზადების ცენტრი, სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო, სასწავლო ცენტრი, EU Project (20 მონაწილე)	20
2	**დინამიური უსაფრთხოების ტრენერთა ტრენინგი** (ონლაინ) - პენიტენციური დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და მმართველი რგოლის თანამშრომლებისთვის	18
3	**კრიზისის მენეჯმენტის ტრენერთა ტრენინგი** (ონლაინ) - პენიტენციური დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და მმართველი რგოლის თანამშრომლებისთვის	19
3	**სრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ მეუღლის/პარტნიორის მიმართ მოსალოდნელი ძალადობის რისკის შეფასება – SPAPRA** - ტრენერთა ტრენინგი (14 მონაწილე) (ონლაინ) - სამუშაო შეხვედრა ტრენერებთან (6 მონაწილე) (ონლაინ) - სპეციალური პენიტენციური სამსახური (43 მონაწილე); - პრობაციის ეროვნული სააგენტო (27 მონაწილე)	90
4	**პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტი: ქმედითი უსაფრთხოება და ადამიანის უფლებები** - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახური	48
	სულ:	195

5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის კურსი

“არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდატის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N668 დადგენილებაში 10 აპრილს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ- ების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ჩართული სხვა უწყებებისთვის, სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახურმა განახორციელა **„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზაციის კურსი“**

N	დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
1	შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია	14
2	იუსტიციის სამინისტრო	9
3	სპეციალური პენიტენციური სამსახური	12
4	სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	13
5	დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	56
	სულ:	104

6. საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ფარგლებში განხორციელებული ტრენინგები

საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) 2021–2024 წლების სტრატეგია მიზნად ისახავს სახელმწიფო სერვისების ხარისხის ხელმისაწვდომობასა და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გაუმჯობესებას. სამოქმედო გეგმის განსაზღვრის პროცესში ჩართული იყო იუსტიციის სასწავლო ცენტრი ორი მიმართულებით: 1. როგორც სახელმწიფო სერვისის გამცემი ერთ-ერთი უწყება, რომელიც, სერვისების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, გეგმავს განსაზღვრული სტანდარტების დანერგვას; 2. როგორც გეგმის ფარგლებში განსაზღვრული სასწავლო აქტივობების განმახორციელებელი უწყება. იმისთვის, რომ სახელმწიფო სერვისების გამცემმა უწყებებმა დანერგონ რეფორმით გათვალისწინებული სტანდარტები, აუცილებელია უწყების თანამშრომლებმა გაიარონ ტრენინგი შესაბამის მიმართულებით.

სოციალური მიმართულების ტრენინგების სამსახური, სსიპ სახლემწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაკვეთით, ახორციელებს ტრენინგებს ოთხ სხვადასხვა თემაზე: შეფასების ერთიანი სისტემა (CAF); სახელმწიფო სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა; სახელმწიფო სერვისების მიწოდება; სახელმწიფო სერვისების დიზაინი. აღნიშნული ტრენინგ მოდულები გასულ 2020 წელს შექმნა სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით და გადაეცა იუსტიციის სასწავლო ცენტრს.

სერვისების განვითარების სააგენტოს დაკვეთით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით პროექტის "საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა, საქართველოში სახელმწიფო სერვისების მიწოდების გაუმჯობესების გზით, ფაზა2" ფარგლებში მიმართულებამ კოორდინაცია გაუწია და განახორციელა შემდეგი ტრენინგები:

N	დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
1	სახელმწიფო სერვისების დიზაინი (2 ჯგუფი, 32 მონაწილე)	32
2	მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა	17
3	სახელმწიფო სერვისების მიწოდება	17
	სულ:	66



7. პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების აკრედიტებული პროგრამები

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ აქტიურად მონაწილეობს საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მინისტრის 2019 წლის 6 მარტის, N46/ნ ბრძანების – ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებთან შესაბამისი პროგრამების სწავლებასა და მართვა/კოორდინაციაში.

პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების და მოხელის მენეჯერული უნარების განვითარების კურსები, გასულ 2020 წელს ადაპტირდა დისტანციური (ონლაინ) სწავლების ფორმატზე. ასევე, კურსის სასწავლო ნაწილის დასრულების შემდგომ მოაზრებული მონაწილეთა ცოდნის შეფასების (ტესტირების) პროცესი ადაპტირდა დისტანციურ რეჟიმზე ტესტირების კოორდინაციის სამსახურის მიერ.

მიმდინარე წელს განხორციელდა პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი დისტანციურ (ონლაინ) ფორმატზე.

N	დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
1	პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი (III და IV რანგის საჯარო მოხელეებისთვის) - სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“ (5 მონაწილე) - იუსტიციის სამინისტრო (9 მონაწილე)	14
	სულ:	14



8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად სსიპ საკანონმდებლო მაცნესა და სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის სერვისების მიწოდებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები (სულ 4 თანამშრომელი) გადამზადნენ შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული ეფექტიანი მომსახურების გაწევასა და შშმ პირთა ეფექტიანი კომუნიკაციის საკითხებზე.

9 მიმდინარე წელს შექმნილი ტრენინგ მოდულები

- **უნივერსალური ტრენინგ მოდული** – წარმოადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა საბაზო საორიენტაციო პროგრამას, რომელიც განკუთვნილია სპეციალური პენიტენციური სამსახურის ყველა პროფილის ახალი და არსებული თანამშრომლის გადამზადებისთვის. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლება და ზოგადი ინფორმაციის მიწოდება სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, ეთიკის სტანდარტებისა და პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის პირობების შესახებ.

- სსიპ "ახალგაზრდობის სააგენტოს" ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის მე-6 ქვეპროგრამის ფარგლებში "ახალგაზრდული შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის" ფარგლებში, საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის 2018 წელს ხელმოწერილი "ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობის გათვალისწინებით, შეიქმნა მოიდული თემაზე **"კარიერული მართვა"**, რომელიც დამატებით მოიცავს ტრენინგების "გუნდურობა" და "ემოციური ინტელექტი" საკითხებს. აღნიშული მოდულით, პროექტების სამსახურის კოორდინაციით გადამზადდა 3000 ახალგაზრდა.

ფინანსური ტრენინგების სამსახური

375 მონაწილე

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ტრენინგების სამსახური ფინანსურ თემებზე ტრენინგების და სხვა სასწავლო ღონისძიებების ორგანიზებით უზრუნველყოფს იუსტიციის სამინისტროს სისტემის, ასევე, სხვა ნებისმიერი დაინტერესებული საჯარო, თუ კერძო ორგანიზაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. სპეციალური სასწავლო პროგრამების შემუშავების, ტრენინგებისა და კურსების ჩატარების გზით სამსახური მონაწილეობს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში.

სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დარგის წამყვან ექსპერტებთან თანამშრომლობას და მუდმივად აახლებს ტრენერთა ბაზას. სამსახური ორიენტირებულია სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და სწავლების პროცესის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაზე.

2021 წელს ფინანსური ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა 36 სასწავლო (და არასასწავლო) ღონისძიება, რომელშიც ჩართული იყო 375 პირი .
განხორციელებული სასწავლო ღონისძიებები (ტრენინგი, კურსი, ფიზიკური ნორმატივები) მონაწილეთა 92%-ზე მეტმა შეაფასა დადებითად.

სატრენინგო თემები და ტრენინგ-მოდულები

ცენტრის ბაზაზე არსებული 18 ტრენინგ-მოდულის გარდა, სამსახური დამკვეთ პირებს სთავაზობს ნებისმიერ ფინანსურ თემაზე მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული სპეციალური პროგრამის შემუშავებას.

დამკვეთი პირები

ფინანსური ტრენინგების სამსახური სატრენინგო მომსახურების გაწევით თანამშრომლობს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიულ და კერძო პირებთან.

1. იუსტიციის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება

სამსახურის უპირველესი დანიშნულებაა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საქვეუწყებო დაწესებულების მომსახურება, ასევე ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა.

1.1. ტრენინგები/კურსები სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთათვის

ესკორტის ოფიცრების საორიენტაციო კურსი

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს ესკორტირების ოფიცრების პიროვნული კომპეტენციების განვითარებისა და პროფესიული მომზადების მიზნით შემუშავდა „ესკორტის ოფიცრების საორიენტაციო კურსი“- კომპლექსური პროგრამა, რომელიც აერთიანებს სამართლებრივი, ფსიქო-სოციალური და პროფესიული შინაარსის ტრენინგებს.

აღნიშნული პროგრამით სპეციალური მომზადება გაიარა ესკორტის 9 ოფიცერმა.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო პროგრამა

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო პროგრამა მორგებულია სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს ესკორტირების ოფიცრების სამუშაო სპეციფიკაზე და მიზნად ისახავს კურსის მონაწილეები აღჭურვოს ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული თეორიული ცოდნით, შეასწავლოს და განუვითაროს პირველადი სამედიცინო დახმარების პრაქტიკული უნარები და გაავარჯიშოს ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების უსაფრთხოდ და მიზანმიმართული გამოყენების პრაქტიკულ უნარებში.

კურსის წარმატებით დასასრულებლად აუცილებელია თეორიული და პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება.

აღნიშნული პროგრამით სპეციალური მომზადება გაიარა ესკორტირების 49 ოფიცერმა (რომელთაგან 44-მა წარმატებით ჩააბარა გამოცდები).



სახანძრო უსაფრთხოება

ტრენინგის მიზანია, მონაწილეებს გააცნოს სახანძრო უსაფრთხოების მნიშვნელობა. ხანძრის გაჩენის მიზეზები და ხანძრის ქრობის საშუალებები. სახანძრო სიგნალიზაციის მუშაობის პრინციპი. საევაკუაციო ღონისძიებები. სახანძრო ინსტრუქტაჟი და ტექმინიმუმი. აღნიშნული ტრენინგი გაიარა სპეციალური პენიტენციური სამსახურის 13-მა თანამშრომელმა.

2. ფინანსური ტრენინგები

2.1. ფინანსური ტრენინგები/კურსები სსიპ-ების თანამშრომლებისთვისა და კერძო პირებისთვის

საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მიხედვით

კურსის მიზანია მსმენელებს შეასწავლოს ფინანსური ანგარიშგების მომზადების ტექნიკები კანონმდებლობისა და საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მოთხოვნების გათვალისწინებით. 2021 წელს კურსი ონლაინ რეჟიმში გაიარა 7-მა პირმა.

შიდა აუდიტის საფუძვლები

ტრენინგის მიზანია მონაწილეებს გააცნოს შიდა აუდიტის სტრუქტურის მნიშვნელობა ორგანიზაციაში, განუვითაროს პრაქტიკული უნარები, რათა მათ შეძლონ ფუნქციურად ძლიერი შიდა აუდიტის სამსახურის ჩამოყალიბება და საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად წარმართვა. აღნიშნული ტრენინგი გაიარა საჯარო რეესტრის 10-მა თანამშრომელმა.

ინვენტარიზაცია

ტრენინგის მიზანია მონაწილეებმა ტრენინგის შემდეგ დამოუკიდებლად შეძლონ ინვენტარიზაციის პროცესის სწორად დაგეგმვა და ჩატარებას. ტრენინგი გაიარა საჯარო რეესტრის 11-მა თანამშრომელმა.

საგადასახადო სამართალი

ტრენინგის მიზანია მონაწილეების ინფორმირება ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობის შესახებ, რომელიც განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსით, მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტებით, დოკუმენტებითა და საგადასახადო კოდექსით დათქმული გადასახადების შემოღების, გავრცელების, დაგეგმვის, სისტემატიზაცია-კონტროლთა და მასთან დაკავშირებულ საპროცესო მოქმედებებით. აღნიშნული ტრენინგი ონლაინ ფორმატში გაიარა იუსტიციის სამინისტროს 10-მა თანამშრომელმა.

MS Excel

ტრენინგის მიზანია მონაწილეებს შეასწავლოს ექსელის ფუნქციები, რომლებიც აამაღლებს მათი სამუშაოს ეფექტიანობას. აღნიშნული კურსი ჩატარდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომლებისთვის მოწვეული ტრენერის, გიორგი დათუკიშვილის მიერ.

სახელმწიფო შესყიდვების კურსი

სახელმწიფო შესყიდვების კურსის მიზანია დაინტერესებული პირებისთვის სახელმწიფო შესყიდვების არსის და პროცესების გაზიარებას, როგორც სამართლებრივ, ისე პრაქტიკულ ჭრილში. აღნიშნული კურსი გაიარა 12-მა პირმა, აქედან 1-მა მონაწილემ გაიარა ინდივიდუალური ონლაინ ტრენინგი.

ტესტის შექმნის სამსახური

შემუშავდა 841
ტესტური დავალება

ზოგადი ინფორმაცია

ტესტის შექმნის სამსახურის ძირითადი ფუნქციაა იუსტიციის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ სსიპებში პერსონალის შერჩევისა და შეფასების პროცესის მხარდაჭერა, რა მიზნითაც სამსახური წლის განმავლობაში მუშაობს სხვადასხვა სახის შეფასების ინსტრუმენტების შექმნასა და მუდმივად განახლებაზე.

2021 წლის განმავლობაში ტესტის შექმნის სამსახურმა 9 დაწესებულებას გაუწია მომსახურება, მათ შორის, იუსტიციის სამინისტროს, მისი მმართველობის სფეროში შემავალ 7 საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და 1 გარე ორგანიზაციას. მომსახურება მოიცავდა როგორც პერსონალის შესარჩევი ინსტრუმენტების, ასევე სხვადასხვა სახის სასერტიფიკაციო და საკვალიფიკაციო ტესტებისა და წერითი დავალებების შექმნას.

წლის განმავლობაში შეიქმნა 841 ტესტური დავალება და შემოწმდა/განახლდა 1823 ტესტური დავალება, შეფასდა წერითი დავალების მონაწილე 45 პირისა და ქართული ენის ტესტირების მონაწილე 979 პირის ნაშრომი.

ცხრილი ასახავს სამსახურის მიერ წლის განმავლობაში შესრულებული საქმიანობის სტატისტიკას მომსახურების დამკვეთი ორგანიზაციების მიხედვით.

დამკვეთი პირები	მომზადებული ტესტური დავალებების რაოდენობა	შემოწმებულ-განახლებული ტესტური დავალებების რაოდენობა	შეფასებული ნაშრომების რაოდენობა
იუსტიციის სამინისტრო	22	108	9
იუსტიციის სამინისტროს სსიპები	783	1401	825
სხვა დაწესებულები	36	314	190
ჯამი	841	1823	1024

2021 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ შესრულებული ამოცანებში სამი ძირითადი მიმართულება გამოიყოფა:

1. პერსონალის შერჩევის მიზნით ჩატარებული კონკურსების მხარდაჭერა სხვადასხვა თემატიკის ტესტების შექმნით, რომლებიც აპლიკანტთა პროფესიული ცოდნისა და უნარების შეფასებას უზრუნველყოფენ;

2. საკვალიფიკაციო და სასწავლო კურსების შემდგომი სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის შესაბამისი ტესტების შექმნა;

3. ქართული ენის მართლწერის სასწავლო კურსების ორგანიზება.

სამსახურმა შეიმუშავა ზოგადი უნარებისა და ქართული ენის მართლწერის ტესტების ახალი ვარიანტები, რომლებიც გამოიყენებოდა წლის განმავლობაში სხვადასხვა კონკურსების მონაწილე პირთა ლოგიკური მსჯელობის, ბაზისური არითმეტიკული მოქმედებების შესრულებისა და ქართულ ენაზე მართლწერის უნარების შესაფასებლად.

სამსახურმა ჩაატარა სასწავლო ცენტრის დამკვეთი ორგანიზაციების კმაყოფილების კვლევა ცენტრის მიერ მიწოდებული მომსახურებებით. აღნიშნული კვლევისთვის განახლდა შეფასების კითხვარი, სტატისტიკურად დამუშავდა კვლევის შედეგები და მომზადდა ანგარიში.

ტესტის შექმნის სამსახურის მუშაობის ეფექტიანობის შესაფასებელ ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს შინაარსობრივი პრობლემის მქონე ტესტური დავალებების პროცენტული წილი წლის განმავლობაში შექმნილი დავალებების ჯამურ რაოდენობაში, რომელიც არ უნდა აჭარბებდეს 10%-ს. 2021 წლის განმავლობაში არცერთი ტესტურ დავალებას არ გამოუვლინდა ხარვეზი.

საკვალიფიკაციო გამოცდები

2021 წლის განმავლობაში სამსახურმა წარმატებით გაართვა თავი შემდეგ მნიშვნელოვან საკვალიფიკაციო გამოცდებს, რომელთაც იუსტიციის სასწავლო ცენტრი კანონმდებლობით მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილებით ატარებს:

1. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა საკვალიფიკაციო გამოცდა;
2. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა;
3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

სასერტიფიკაციო ტესტები

სამსახური აქტიურად იყო ჩართული სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში მონაწილეთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის ტესტებისა თუ პრაქტიკული უნარების შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში, მათ შორის, აღსანიშნავია:

1. საქართველოს ნოტარიუსთა პალატასთან არსებული სასწავლო ცენტრის სტაჟიორთა პრაქტიკული სასწავლო კურსის შემდგომი და შემაჯამებელი გამოცდები;
2. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებულ პირთა სასერტიფიკაციო კურსი - მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა (MMR);
3. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო კურსი;
4. ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების ფონდთან თანამშრომლობით ჩატარებული სასწავლო კურსი „პერსონალურ მონაცემთა დაცვა“;
5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის კურსი.

სამსახურმა წარმატებით ითანამშრომლა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსებისთვის პროფესიული ტესტების მომზადების მიზნით, რომლის ფარგლებშიც ექვსი განსხვავებული პოზიციისთვის შეიქმნა პროფესიული ტესტები.

ქართული ენის მართლწერის სასწავლო კურსი

ტესტის შექმნის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი - „ქართული ენის მართლწერასა და სტილის საკითხები“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის, რომლის შემდგომაც ჯამში 37 მონაწილეზე გაიცა ტრენინგის სერტიფიკატი, ხოლო ტრენინგით კმაყოფილების მაჩვენებელმა, ორივე ჯგუფის შემთხვევაში, გადააჭარბა 90%-ს.

ტესტირების კოორდინაციის სამსახური

ტესტირება გაიარა
5 855 აპლიკანტმა

ზოგადი ინფორმაცია

ტესტირების კოორდინაციის სამსახურის ამოცანაა იუსტიციის სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებში დასაქმებულთა, სტაჟიორთა (სტაჟირების კანდიდატების), აგრეთვე, სხვა დაინტერესებულ პირთა სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული გამოცდების, საკვალიფიკაციო, სასერტიფიკატო ტესტირების ორგანიზება და ადმინისტრირება.

2021 წლის განმავლობაში ტესტის კოორდინაციის სამსახური 19-მდე დაწესებულების 5 855 აპლიკანტს მოემსახურა. მათ შორის, იუსტიციის სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში შემავალ 8 საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და 11 გარე ორგანიზაციას. მომსახურება მოიცავდა როგორც პერსონალის შერჩევისა და პროფესიული ცოდნის შეფასების მიზნით საგამოცდო პროცესების სრულ ადმინისტრირებას, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაწევას შესაბამისი საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების მიზნით.

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით საგამოცდო პროცესები ტარდებოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „შრომის ინსპექციის“ შესაბამისი ნებართვის გაცემის საფუძველზე.
 სამსახურმა მომსახურება იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და მის მმართველობაში შემავალ 8 საჯარო სამართლის იურიდიულ პირს გაუწია.

ტესტირების მიზანს წარმოადგენდა როგორც ვაკანტური თანამდებობების დაკავების მიზნით შესარჩევი ტესტირების, ასევე, დასაქმებულ პირთა პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება და, ასევე, დაინტერესებული ფიზიკური პირების შესაბამის სფეროში სერტიფიცირება.
იუსტიციის სამინისტროს სისტემის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში მომსახურება 4 043 აპლიკანტს გაეწია.

N1 დიაგრამაზე წარმოდგენილია იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ-ების საკონკურსო, საკვალიფიკაციო და ტრენინგის შემდგომ ცოდნის შეფასების მიზნით განხორციელებულ ტესტირებებზე გამოცხადებული მონაწილეების სტატისტიკური მაჩვენებელი.

დიაგრამა N1



სახელმწიფო სამსახურებისა და კერძო სექტორის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

სამსახურმა მომსახურება გაუწია როგორც სახელმწიფო ორგანიზაციებს, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენელი კომპანიების 11 ორგანიზაციას.

სახელმწიფო დაწესებულებებსა და კერძო სექტორში განხორციელებული აქტივობების ფარგლებში ტესტირება 1 812 აპლიკანტმა გაიარა.

N2 დიაგრამაზე სახელმწიფო დაწესებულებებისა და კერძო სექტორის ტესტირებებში მონაწილე პირთა სტატისტიკაა წარმოდგენილი.

დიაგრამა N2



გამომძიებელთა საკვალიფიკაციო გამოცდა

2021 წელს სასწავლო ცენტრმა ტესტირების კოორდინაციის სამსახურის ჩართულობით მნიშვნელოვანი საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება განახორციელა.

2019 წელს „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, გამომძიებელთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებაზე პასუხისმგებელ უწყებად საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი განისაზღვრა.

სახელმწიფო ინსპექტორის საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაცია 2021 წელს სექტემბერში გამოცხადდა. გამოცდაზე ჯამურად 79 კანდიდატი დარეგისტრირდა, გამოცდისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 10 - მა კანდიდატმა გადალახა.

წარმატებულ აპლიკანტებს გადაეცათ სერტიფიკატები.



ნოტარიუსთა პალატის სტაჟიორთა ტესტირება და ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა

„ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 25 მარტის №119 ბრძანების საფუძველზე ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა 2021 წლის 26 აპრილიდან 19 მაისამდე დაინიშნა. „ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულებისა და ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N68 ბრძანების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკვალიფიკაციო გამოცდა ტესტირების ფორმით ზოგად უნარებსა (ვერბალური და მათემატიკური ნაწილები) და პროფესიულ ნაწილში ჩატარდა. გამოცდის კომისიის სამდივნოში საბუთები წარმოადგინა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები დააკმაყოფილა 130-მა კანდიდატმა.

“სტაჟიორთა კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულებისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე” 2019 წლის 23 ოქტომბერს N450 საქ. იუსტიციის მინისტრის N450 ბრძანებით დამტკიცდა სტაჟირების ახალი სისტემა, რომელიც მოიცავს კომპლექსური სწავლებისა და ტესტირების სისტემას, კერძოდ, სტაჟიორთა კონკურსის წესით შერჩევის შემდგომ, წარმატებული კონკურსანტები სტაჟირებას გადიან ნოტარიუსთა პალატაში. სწავლების კურსი 10 თვიანია და მოიცავს პრაქტიკულ და თეორიულ ნაწილს. თითოეული ეტაპისათვის გათვალისწინებულია ტესტირება პროფესიულ ნაწილში. 2019 წლის სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსზე (ზოგადი უნარები, პროფესიული ნაწილი) გამოცდა ჩააბარა 51 წარმატებულმა კანდიდატმა.

2021 წლის 6 აგვისტოს, პრაქტიკული კურსის შემაჯამებელი გამოცდა (პროფესიული ნაწილი) წარმატებით ჩააბარა 43-მა სტაჟიორმა.

დისტანციური ტესტირება

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა 2020 წელს პირველად საერთაშორისო ელექტრონულ პლატფორმის Socrative.com-ის მეშვეობით ჩაატარა ტესტირება დისტანციურ ფორმატში.

ტესტირება ჩატარდა საჯარო მოხელეთა საბაზისო აკრედიტებული კურსის "პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი"-ის ფარგლებში.

სასწავლო ცენტრის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ერთობლივი ძალისხმევით დისტანციური გამოცდების ადმინისტრირების ერთიანი მიდგომა შეიქმნა, რომელიც მაქსიმალურად მორგებულია აპლიკანტების ინტერესებზე და ამავდროულად, ინარჩუნებს ცენტრში არსებულ სტანდარტს.
2021 წელს დისტანციური ფორმატით გამოცდა 347-მა აპლიკანტმა შეასრულა.

პროექტების მართვის სამსახური

3 626 მონაწილე

ზოგადი ინფორმაცია

პროექტების მართვის სამსახურის ამოცანაა ცენტრის განვითარების სტრატეგიული მიმართულებებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, პროექტების მართვა. ცენტრის საჭიროებიდან გამომდინარე, საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის კვლევა/ანალიზი. ასევე, შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და აკადემიურ წრეებთან თანამშრომლობა.

პროექტების მართვის სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ცენტრის საქმიანობაში შესაძლებლობების გამოსავლენად მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას, ინსტრუმენტების შექმნასა და მუდმივ განვითარებას.

2021 წელს პროექტების მართვის სამსახურმა, დონორებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით განახორციელა 8 პროექტი, რომელშიც 777 მონაწილე იყო ჩართული. ასევე, ზოომ ონლაინ პლატფორმის გამოყენებით განხორციელდა ერთი ღონისძიების ადმინისტრირება, რომელშიც 15 მონაწილე იყო ჩართული. ჯამში, 2021 წელს პროექტების მართვის სამსახურის ორგანიზებითა და ადმინისტრირებით 9 პროექტი განხორციელდა, რომელშიც 792 მონაწილე იყო ჩართული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ახალგაზრდობის სააგენტოს სატენდერო ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა 3000 ახალგაზრდის გადამზადების პროექტი კარიერის მართვის საკითხებზე.

ამასთანავე, 2021 წელს, გარდა ყოველწლიური პროექტებისა, თანამშრომლობა დაიწყო UNDP-სა და USAID-თან ახალი ღონისძიებების მიმართულებით, მათ შორის, „USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის“ პარტნიორობითა და ფინანსური მხარდამჭერით გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სასწავლო პროგრამის პირველი ნაკადის სერტიფიცირება განხორციელდა. ხოლო, UNDP-ს პროექტის „მედიაცია და არბიტრაჟი-დავების ეფექტიანი გადაწყვეტისათვის“ ფინანსური მხარდაჭერით მედიაციის
თემაზე ტრენინგი ჩატარდა.

ამჟამად განხორციელების პროცესშია ესეების კონკურსი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, რომელიც სტამბოლის კონვენციის 10 წლის იუბილეს ეძღვნება. პროექტი დასრულდება 2022 წელს, რომელიც UN Women-ის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

ევროკავშირის სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესი

ევროკავშირის სამართალში იმიტირებული სასამართლო პროცესები იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის ინიციატივით და იუსტიციის სასწავლო ცენტრის ხელშეწყობით ყოველწლიურად იმართება. მისი მიზანი ევროინტეგრაციის პროცესისა და ევროკავშირის კანონმდებლობისადმი ინტერესის გაზრდა და იმ საქმიანობის პოპულარიზაციაა, რასაც იუსტიციის სამინისტრო ეწევა ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში.

პროგრამაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის სკოლის, იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისაგან შემდგარი ჯგუფები.

2021 წელს ევროკავშირის სამართალში იმიტირებული სასამართლო პროცესები ევროპის კვირეულის ფარგლებში გაიმართა. პროექტის პარტნიორები იყვნენ საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი.



ევროკავშირის სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესი

სტუდენტური პროექტის გამარჯვებული თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის გუნდი გახდა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გიორგი ჩაჩხიანი, გვანცა დოლბაია და ალექსანდრე პატარაია. ინდივიდუალურად საუკეთესო გამომსვლელის ტიტული თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მე-3 კურსის სტუდენტმა მარიამ ბიბილურმა მოიპოვა. კონკურსში დარეგისტრირებული 53 გუნდი და 167 მონაწილე თითოეულ ეტაპზე მოსამართლეებისაგან შემდგარმა კოლეგიამ შეაფასა.

გამარჯვებულები იუსტიციის მინისტრმა დააჯილდოვა, სასწავლო სახელმძღვანელოები და სიმბოლური საჩუქრები გადასცა მათ.

გამარჯვებულებს ასევე გადეცათ GIZ-ის პუბლიკაციები. „ევროპული სამართალი - სასწავლო სახელმძღვანელო“, რომელიც შექმნილია ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს(BMZ) თანადაფინანსებული პროექტის —„საქართველოს კომერციული სამართლის და პრაქტიკის გაუმჯობესება“ ფარგლებში.

ესეების კონკურსი თემაზე „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში“

კონკურსში თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მესამე კურსის სტუდენტმა – ეკატერინე სუბელიანმა გაიმარჯვა.

სტუდენტებისთვის ესეების კონკურსი თემაზე „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში“ იუსტიციის სამინისტრომ და იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, UN Women-ის მხარდაჭერით განახორციელეს. აღნიშნული პროექტით მხარეები შეუერთდნენ 16 დღიან გლობალურ კამპანიას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. იუსტიციის სასწავლო ცენტრმა კონკურსი გასული წლის დეკემბერში გამოაცხადა და მასში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ნებისმიერი ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს.

კონკურსი ხუთი ეტაპისგან შედგებოდა. საკონკურსო ესეების წარმოდგენამდე, პროექტის მონაწილეებისთვის იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ტრენინგი ჩაატარეს, რის შემდეგაც მონაწილეებმა საკონკურსო ნამუშევრები წარმოადგინეს.

მთლიანობაში, პროექტში დარეგისტრირებული 79 მონაწილიდან საკონკურსო ნამუშევარი საქართველოში ავტორიზებული 13 სხვადასხვა უნივერსიტეტის 30-მა სტუდენტმა წარმოადგინა. წარმოდგენილი ესეებიდან, 5 საუკეთესო ესეს ავტორმა საკუთარი ნაშრომი 10 მარტს ონლაინ კონფერენციის ფორმატში წარადგინა. საბოლოოდ კი გამარჯვებული თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მესამე კურსის სტუდენტი ეკატერინე სუბელიანი გახდა. გამარჯვებულ სტუდენტს და ხუთ საუკეთესო ესეს ავტორს სიმბოლური საჩუქრები და სერტიფიკატები გადაეცათ.

კონფერენცია თემაზე „გენდერული თანასწორობა და ქალის უფლებები თანამედროვე დისკორსში“

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პარტნიორობით, აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდმა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის „კანონის უზენაესობის განვითარება საქართველოში“ (PROLoG) პროგრამის მხარდაჭერით განახორციელა კონფერენცია
თემაზე: გენდერული თანასწორობა და ქალის უფლებები თანამედროვე დისკორსში

კონფერენციის მიზანია დისკრიმინაციის აღმოფხვრის, გენდერული თანასწორობისა და ქალის უფლებების შესახებ საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის გარშემო კვლევაზე დაფუძნებული ინფორმირებული დისკუსიის ხელშეწყობა.

კონფერენცია ჩატარდა 2021 წლის 27 მარტს, დისტანციური ფორმატით.

შერჩეული სამი საუკეთესო ნაშრომის ავტორს აკადემიური ჯილდოები, კონფერენციის ყველა მონაწილეს შესაბამისი სერტიფიკატი გადაეცათ.

გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD), ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით ყოველწლიურად ახორციელებს პროექტს "გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე".

წელს, პროექტის გამარჯვებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტები: გიორგი ჩაჩხიანი, სოფიო ლეჟავა, ირაკლი შავიშვილი და გვანცა დოლბაია გახდნენ. ნომინაციაში „საუკეთესო მომხსენებელი“ ფინალისტი გუნდის წევრმა მზექალა რომანაძემ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ანა მუხაშვილმა გაიმარჯვეს.

2021 წელს პროექტში მონაწილეობის სურვილი 6 სხვადასხვა უნივერსიტეტის 12-მა გუნდმა (35 სტუდენტი) გამოთქვა. წერილობითი ნაშრომების შეფასების საფუძველზე ზეპირი, ფინალური, ეტაპისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის 5 გუნდი (16 სტუდენტი) შეირჩა.

პროექტი მიზნად ისახავს, თბილისისა და რეგიონების სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე, ასევე, სასამართლოში წარმომადგენლობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სტუდენტთა დაახლოებასა და საკონტაქტო ქსელის შექმნას.

ზეპირი რაუნდები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორის დღეს ეძღვნებოდა, რომელიც ყოველი წლის 30 ივლისს აღინიშნება.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული შეჯიბრი

პროექტს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაცია საქართველოში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უწყებათაშორის კომისიასთან თანამშრომლობით.

პროექტი მიზნად ისახავს, საქართველოს მასშტაბით, სტუდენტებში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და მომიჯნავე სფეროების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, სამართლებრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და გაუმჯობესებას და საკონტაქტო ქსელის შექმნას.

2021 წლის შეჯიბრის გამარჯვებული თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდი შემდეგი შემადგენლობით გახდა - ლუკა ავაზაშვილი, ნიკოლოზ მოსიძე, ბექა ჭყონია. საუკეთესო მომხსენებლის ნომინაციაში გამარჯვებული ლუკა ავაზაშვილი გახდა.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის 2021 წლის შეჯიბრში მონაწილეობისთვის საქართველოში ავტორიზებული 5 უნივერსიტეტის 14 გუნდი (42 სტუდენტი) დარეგისტრირდა. წერილობითი ნაშრომების წარმოდგენის შემდეგ, პროექტის ლექციების ეტაპზე 6 გუნდი შეირჩა.



თანასწორობის კვირეული მოსწავლეებისთვის

2021 წლის 20-29 ნოემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა და ევროპის საბჭომ განახორციელა პროექტი **"თანასწორობის კვირეული მოსწავლეებისთვის"**. ღონისძიება ჩატარდა კამპანიის - „მე ვირჩევ თანასწორობას" - ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში" მხარდაჭერით.

პროექტის მიზანია: ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება თანასწორობისა და დისკრიმინაციის საკითხებზე, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათი საზოგადოებრივი ჩართულობის წახალისება.

თანასწორობის კვირეულის ფარგლებში სსიპ იუსტიციის სახლის თანამშრომლებისთვის დისკრიმინაციის საკითხებზე ტრენინგი განხორციელდა.

აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემებზე

იუსტიციის სამინისტრომ, იუსტიციის სასწავლო ცენტრმა და აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდმა, თსუ გენდერისა და სამართლის კვლევითი და სასწავლო მიმართულების ხელმძღვანელთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროგრამის მხარდაჭერით, 2021 წლის 4-5 დეკემბერს სტუდენტებისთვის ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე იმიტირებული სასამართლო პროცესი განახორციელეს.

იმიტირებული სასამართლო პროცესის დასკვნითი (ზეპირი) ეტაპი ონლაინ ფორმატში გაიმართა. ფინალში თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდები №112 და №118 მონაწილეობდნენ. გამარჯვებული გახდა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდი შემდეგი შემადგენლობით: მზექალა რომანაძე და ელენე სვანიძე. ხოლო, ნომინაციაში „საუკეთესო მომხსენებელი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა - თამარ კალანდიამ გაიმარჯვა. ასევე, ჟიურიმ შეჯიბრის საუკეთესო მონაწილედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი - თამარ მაზანაშვილი დაასახელა.



აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ვირტუალური საკვირაო სკოლა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე

პროექტი განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის, აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდის და ქართულ- ამერიკულ უნივერსიტეტის (GAU) ერთობლივი თანამშრომლობით.

საკვირაო სკოლის მიზანია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სტუდენტების და სკოლის მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება.

აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ვირტუალური საკვირაო სკოლა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე

ვირტუალური საკვირაო სკოლის სესიები 2021 წლის 16 იანვრიდან დაიწყო და 13 თებერვლის ჩათვლით ყოველ შაბათ-კვირას მიმდინარეობდა.

პროექტის მონაწილე სტუდენტებმა და სკოლის მოსწავლეებმა ცნობიერება შემდეგი საკითხების შესახებ აიმაღლეს: ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები, საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები და მექანიზმები. ასევე, მონაწილეებს მოწვეულმა მომხსენებლებმა მოცემულ საკითხებთან დაკავშირებული მომიჯნავე სფეროების შესახებაც ჩაუტარეს ტრენინგები.

ვირტუალურ საკვირაო სკოლაში ჯამში 60 სტუდენტი და მოსწავლე მონაწილეობდა.

ესეების კონკურსი თემაზე „სტამბოლის კონვენცია – საუკეთესო სტანდარტი თუ იდეოლოგია – საქართველოს მაგალითი“

ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მგრძნობელობის გაზრდის მიზნით, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი მსოფლიო მასშტაბის კამპანია 1991 წლიდან ყოველწლიურად იმართება 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით.

კამპანია მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და ქალთა უფლებების ირგვლივ სამოქალაქო კონსოლიდაციის გაძლიერებას, მათ შორის არსებული გამოწვევების აქტუალიზაციის საშუალებით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით, აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, ესეების კონკურსი გამოცხადდა.

2021 წლის ესეების კონკურსის ძირითადი თემატიკა სტამბოლის კონვენციის 10 წლის იუბილეს ეძღვნება და საქართველოს პრაქტიკასთან მიმართებით განიხილება : „სტამბოლის კონვენცია – საუკეთესო სტანდარტი თუ იდეოლოგია – საქართველოს მაგალითი“. პროექტი 5 ეტაპისგან შედგება:

I. სარეგისტრაციო ფორმის შევსება
II. ტრენინგი თემაზე “ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენცია სტამბოლის კონვენციის მიხედვით, საქართველოს მაგალითი“.
III. ესეების წარმოდგენა
IV. კონფერენციის მონაწილე 5 საუკეთესო სტუდენტის შერჩევა
V. ონლაინ კონფერენცია – გამარჯვებულის გამოვლენა

ესეების კონკურსი თემაზე „სტამბოლის კონვენცია – საუკეთესო სტანდარტი თუ იდეოლოგია – საქართველოს მაგალითი“



ონლაინ კონფერენცია – ესეების წარდგენა განხორციელდება 2022 წელს .

კარიერული მართვის კურსი - ახალგაზრდების გადამზადება

საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის 2018 წელს ხელმოწერილი „ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობის“ (Skills Development and Matching for Labour Market Needs) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, სსიპ "ახალგაზრდობის სააგენტოს" დაკვეთით, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა განახორციელა ახალგაზრების გადამზადების პროგრამა, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: „კარიერული მართვა“, „გუნდური მუშაობა“, „ემოციური ინტელექტი“.

კარიერული მართვის კურსის მიზანია კარიერული მართვის საკითხებზე ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და მათი გაძლიერება შესაბამისი უნარების განვითარების ხელშეწყობის გზით.

ტრენინგის შინაარსი/ძირითადი თემები:
- რა არის კარიერა?;
- თვითშემეცნების მნიშვნელობა კარიერულ განვითარებაში;
- სამსახურის ძიების ეფექტური გზები;
- კარიერის განვითარების მართვა;
- ემოციური ინტელექტის მართვა;
- გუნდური მუშაობა;
- კომუნიკაციის უნარი.

2021 წლის 6 დეკემბრიდან 26 დეკემბრის ჩათვლით, ჩატარდა **100 ტრენინგი**, რომლის ფარგლებშიც, კარიერული მართვის კურსს ესწრებოდა 3 000-მდე ახალგაზრდა.



სტატისტიკა

პარტნიორი/დონორი ორგანიზაციები	პროექტის სახელწოდება	პროექტის მონაწილეთა რაოდენობა	პროექტის მონაწილეები გენდერულ ჭრილში
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD); საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა	გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე	72	ქალი - 93% კაცი - 7%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლობა საქართველოში	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული შეჯიბრი	72	ქალი - 79% კაცი - 21%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; UN Women	ესეების კონკურსი თემაზე „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში“	114	ქალი - 86% კაცი - 14%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; ევროპის საბჭო	თანასწორობის კვირეული	130	ქალი - 88% კაცი - 12%
აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდი; აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროგრამა; USAID; ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტი (GAU)	აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემებზე	23	ქალი - 83% კაცი - 17%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ)	ევროკავშირის სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესი	246	ქალი - 79% კაცი - 21%
აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდი; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU)	ვირტუალური საკვირაო სკოლა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე	60	ქალი - 94% კაცი - 6%
აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდი;აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროგრამა; USAID; ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტი (GAU)	კონფერენცია თემაზე „გენდერული თანასწორობა და ქალის უფლებები თანამედროვე დისკორსში“	60	ქალი - 90% კაცი - 10%
ჯამი		**777**	

ადმინისტრირება/დაკვეთა	მონაწილეთა რაოდენობა
შეხვედრა ნარკოვითარების მონიტორინგის ცენტრთან (იუსტიციის სამინისტრო)	15
ახალგაზრდების გადამზადება (სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო)	ტრენინგებს დაესწრო 2834 მონაწილე

ტერიტორიული ორგანო ყვარლის სასწავლო ცენტრი

263 სტუმარი

ტერიტორიული ორგანო ყვარლის სასწავლო ცენტრი

იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიული ორგანო ყვარლის სასწავლო ცენტრი წარმოადგენს სასწავლო ფუნქციის, თანამედროვე სტანდარტებისა და კომფორტული ინფრასტრუქტურის მქონე ცენტრს, რომელიც მონაწილეებს სთავაზობს როგორც სასწავლო-საცხოვრებელი კომპლექსის სერვისს, ასევე, მოსახერხებელია საქმიანი შეხვედრებისათვის. ეს არის ადგილი, სადაც შესაძლებელია კონცენტრაცია მოახდინოთ თქვენს საქმეზე და იმავდროულად განიტვირთოთ.

2021 წლის მანძილზე ყვარლის სასწავლო ცენტრში მიმდინარეობდა დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მასშტაბური სამუშაობის გათვალისწინებით, ცენტრმა გარკვეული დროით შეაჩერა ფუნქციონირება.

2021 წლის განმავლობაში ყვარლის სასწავლო ცენტრში განხორციელდა 9 აქტივობა, 4 სამუშაო შეხვედრა, 4 ტრენინგი, 1 „ზამთრის სკოლა“.

საერთო ჯამში ცენტრმა უმასპინძლა 263 სტუმარს.

2021 წელს ყვარლის სასწავლო ცენტრში დატვირთული დღეების რაოდენობამ შეადგინა 35 დღე.